

**ENOBUKHI  
BZOTIKHAGZICI**

**50**

## დამიტრი ხვთისიაშვილი

დაიბადა 1968 წლის 22 აპრილს ქალაქ თბილისში

1985 წ. დაამთავრა თბილისის 101-ე საშუალო სკოლა

1989 წ. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი; (პედაგოგი ლილი იოსელიანი)

2005 წ. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი; (პედაგოგი გიგა ლორთქიფანიძე.)

2014 წ. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დოქტორანტურა (ხელმძღვანელი ვასილ კიკნაძე)

2015 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „მსახიობის აღზრდის პედაგოგიური საფუძვლების ინტერპრეტირების საკითხისათვის“ და გახდა თეატრალური ხელოვნების დოქტორი (PhD Degree in Theatre arts)

### პედაგოგიური გამოცდილება

1989-1993 პროფესორ ლილი იოსელიანის ასისტენტი

1993-1995 პროფესორ ანზორ ქუთათელაძის ასისტენტი

1995-1997 მსახიობის ოსტატობის კათედრის მასწავლებელი

1997-2002 მსახიობის ოსტატობის კათედრის უფროსი მასწავლებელი

2002-2005 მსახიობის ოსტატობის კათედრის დოცენტი

2005-2011 სამსახიობო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი



2011-2014 დოქტორანტი

2011-2016 მონვეული პედაგოგი სალექციო კურსებზე

2017 სამსახიობო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი



### სალექციო კურსები

- 1989 წლიდან მსახიობის ოსტატობა
- 2005 წლიდან დრამის რეჟისურა
- 2007 წლიდან გახმოვანების ხელოვნება
- 2011 წლიდან ექსპლიკაციის საფუძვლები

### სამუშაო გამოცდილება

1989 წ. დღემდე – რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი – ასისტენტიდან ასოცირებულ პროფესორამდე;

1989-1996 წ. მარჯანიშვილის თეატრი – მსახიობი;

1996-1997 წ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრი – მთავარი რეჟისორი;

1997-2000 წ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრი – სამხატვრო ხელმძღვანელი;

2000-2003 წ. ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრი – დამდგმელი რეჟისორი;

2000-2003 წ. მერაბ კოსტავას სახელობის თეატრი – დამდგმელი რეჟისორი;

1999-2013 წ. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ – გახმოვანების სტუდიის მთავარი პროდიუსერი;

2010-2012 წ. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი – დამდგმელი რეჟისორი;

- 2012-2013 წ. – თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი  
– მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი;
- 2013 წ. დღემდე – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი  
– სამხატვრო ხელმძღვანელი;
- 2017 წ. 27 ნოემბრიდან – საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე,  
პრეზიდენტისა და გამგეობის წევრი

## პრემიები

1996 წლის „ოქროს ნილაზზე“ საუკეთესო პატრიოტული სპექტაკლისათვის  
„ჯვარცმული ბედნიერება“

2000 – წლის საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის პრემია – სპექტაკლისთვის „ამიკო“

## დამატებითი ინფორმაცია

დოდო ხურცილავასთან ერთად დაწერა პიესა-ზღაპარი „ხუთკუნჭულა“, რომელიც დადგა მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე.

დადგმული აქვს მრავალი საიუბილეო საღამო თუ კონცერტი. მათ შორის „ეკრანის მელოდიები“, „თამარ თეთრაძე - გახსენება“, „ბონდო გოგინავა - გახსენება“, „გიორგი შავგულიძე 100“, „სოფიკო ჭიაურელი - გახსენება“, „ინოლა გურგულია“, „ირაკლი უჩანაძე - გახსენება“, „ელენე ყიფშიძე - ბენეფისი“, „თენგიზ არჩვაძე – ვარსკვლავის გახსნა“, „ფლორა შედანიძე და მიხეილ ჩუბინიძე 100“, „გიზო სიხარულიძე 80“, „ზვიად გამსახურდია 75“, „კიტა ბუაჩიძე -100“ „მედეა კუჭუხიძე 80“, „ახმეტელის თეატრის საიუბილეო საღამო“, „ლეო ანთაძე - ვარსკვლავის გახსნა“, „კახი კავსაძე- 50 წელი სცენაზე“, „მარლენ ეგუტია - ვარსკვლავის გახსნა“, „თამარ სხირტლაძე -85“, „ლილი იოსელიანი 80“, „ოთარ მეღვინეთუხუ-

ცესი -80“, „რევავ მიშველაძე 75“, „ლილი იოსელიანი 95“, „ბერტა ხაფავა - ვარსკვლავის გახსნა“, „ლადო მექვაბიშვილი - ვარსკვლავის გახსნა“, „ლეილა ძიგრაშვილი 90“, „ლეილა ძიგრაშვილი - ვარსკვლავის გახსნა“, „ნუგზარ ყურაშვილი - 45 წელი სცენაზე“, „პავლე ნოზაძე 70“ და სხვ.

2008 წლიდან თანამშრომლობს გამომცემლობასთან „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, იყო გამომცემა „ვინ ვინ არის საქართველოში“ ხელოვნების განყოფილების მთავარი კოორდინატორი.

### **წიგნების ავტორი:**

2002 – ლილი იოსელიანი

2008 – სახალხო არტისტი გივი ბერიკაშვილი

2011 – ქეთევან ხარშილაძე - ასსერი 60

2011 – სახალხო არტისტი კახი კავსაძე“ (ხათუნა კიკვაძესთან ერთად)

2011 – სოხუმის დრამატული თეატრის 125-ე სეზონი

2011 – ახმეტელის თეატრი 30 წლისაა

2017 – სახალხო არტისტი თენგიზ არჩვაძე

2018 – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი – 90 (საიუბილეო ალბომი)

1993 წლიდან დღემდე საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 100-მდე პუბლიკაცია.

2010-2012 წლებში იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიურ პრემიათა მიმნიჭებელი ჟიურის წევრი.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი





რუსთაველის თეატრის მსახიობი  
თამარ თეთრაძე

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში  
გატარებული წლები  
თამარ თეთრაძის ხელმძღვანელობით,  
დიმიტრი ხვთისიაშვილისათვის  
უმნიშვნელოვანესი  
აღმოჩნდა მომავალი პროფესიის არჩევისას

## სტუდენტობა



ლილი იოსელიანთან ერთად



ნაწევებში საკურსო სპექტაკლიდან „სამი და“



ბეგლარი.  
„ქამუშადის გაჭირვება“



სადიპლომო სპექტაკლის „ქამუშადის გაჭირვების“ შემდეგ

## მარჯანიშვილის თეატრი



„მშვიდობის დღესასწაული“.

ე. ყიფშიძე, ც. ქოთილაიძე, დ. ხეთისიაშვილი  
ი. უჩანეიშვილი, ც. კობიაშვილი, ზ. სტურუა



„ურეელ აკოსტა“.  
ლ. ანთაძე, დ. ხეთისიაშვილი



„კალიგულა“. კ. თოლორაია,  
დ. ხეთისიაშვილი, დ. დვალიშვილი,  
დ. ტატიშვილი, გ. სინარულიძე



„მგზავრის წერილები“.  
დ. ხეთისიაშვილი, თ. არჩვაძე



„ძველი ვოდევილების“  
მესამე თაობა  
ელენე ყიფშიძესთან ერთად



გასტროლებზე  
ბათუმში

გივი ბერიკაშვილის  
შემოქმედებითი  
სალამოს შემდეგ ხობში





*ე. ყიფშიძე, ზ. ბერიკაშვილი*



*გ. სიხარულიძე, თ. სხირტლაძე,  
თ. ბუნიაშვილი*

*სარეჟისორო დებიუტი  
„ქამუშაძის გაჭირვება“*





*ე. ჩხეიძე, ე. მჭავანაცხე*



*„პეიზაჟს აკლია სიტბო“*

დიმიტრი ხვთისიაშვილის „პეიზაჟს აკლია სიტბო“ ისეთი სპექტაკლია, რომელიც საზოგადოების შინაგან სამყაროში, ფსიქოლოგიური შრეების სიღრმეებში იჭრება და მასში მიმდინარე პროცესებს ასახავს, მის საიდუმლოს ამოხსნის, რაც თანამედროვე საზოგადოებას არსებობისთვის ძალიან სჭირდება.

**ლელა ოჩიაური**

რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის სწორად გააზრებული მიზანსცენები, მსახიობთა არაჩვეულებრივი ნაკრები და სათქმელი, რომელსაც ეს სპექტაკლი გვეუბნება გულგრილს ვერ ტოვებს მაყურებელს. სცენიდან ისმის მწარე სიმართლე... ჩვენს ცხოვრებაზე, ყოფაზე, სულიერ ღირებულებებზე... სიმართლე, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, თვალს ვერ ვუსწორებთ ხშირად.

**მანანა ამაშუკელი**



ზ. ბერიკაშვილი, გ. ბერიკაშვილი

„ეუხენა ბაღბოა“



თ. სხირტლაძე, მ. ტატიშვილი, ე. მჟავანაძე



**ლ. წულაძე, დ. ხვთისიაშვილი**

გურამ ბათიაშვილის მოკრძალებული შეხება დიდ რეჟისორთან ლევან წულაძემ და დიმიტრი ხვთისიაშვილმა უფრო ცოცხალი, თეატრალური და დინამიკური გახადეს. ორმოქმედებიანი სპექტაკლი ინტერესით და სიუჟეტის განვითარების მოლოდინით იცქირება, პროფესიონალებისთვისაც კი, რომლებმაც კარგად იციან ამ თეატრის ჩამოყალიბების დრამატული ისტორია. მათი ინტერესი განპირობებულია ფორმით, თუ როგორ მოგვიყვებიან ისტორიას დრამატურგი და რეჟისორები, ხოლო იმათთვის, ვისთვისაც მარჯანიშვილი და მისი მსახიობები ლეგენდები არიან, –

უბრალო მოკვდავებად, ყოფით პერსონაჟებად გადაიქცევიან და მაყურებელს არა მხოლოდ მათ პირად სამყაროში შეახედებენ, არამედ თეატრის კულისებში, რომელიც ინტრიგებითა და კონფლიქტებით არის სავსე.

„კოტე მარჯანიშვილი“ ის სპექტაკლია, რომელიც არა მხოლოდ ამ თეატრის ისტორიას აცოცხლებს, არამედ გვიხატავს მრავალგვარ მსახიობთა ტიპს, მათ ბუნებას, თეატრის კულისებს, რომელიც ასეთი მისტიკურობით და იდუმალებით არის მოცული რიგითი მაყურებლისთვის, აჩენს ინტერესს თეატრალური სამყაროს და, საერთოდ, სპექტაკლში გაცოცხლებულ პერსონაჟების (რეალური ადამიანების) და თეატრის ნამდვილი ვარსკვლავების მიმართ.

**ლაშა ჩხარტიშვილი**



„მგ ზავრის ნერილები“. ზ. სხირტლაძე, რ. ოქროპირიძე



„მგ ზავრის ნერილები“ საჩხერეში



გასტროლებზე ლონდონში



## ზუგდიდის თეატრი

დიდი ხანია არ მინახავს ასე ერთსულოვანი, ფეხზე მდგომი, თვალცრემლიანი მაყურებელი და კარგა ხანია არ მომისმენია ისე გულიანად დაკრული ტაში, როგორც იყო იმ დღეს, თბილისის ერთ-ერთ თეატრში, ზუგდიდის თეატრის სპექტაკლზე.

სცენაზე სულ 6 მსახიობი იდგა, არც სილარიბე აკლდა სცენას, ჩვენი დუხჭირი ცხოვრებიდან გამომდინარე, დეკორაციითა და მსახიობთა გრიმ-კოსტუმებით უზრუნველყოფაში, მაგრამ მე მოწმე გავხდი რეჟისორის დაბადებისა და ვიხილე ქართველი დრამატურგის მიერ, ქართულ სატკივარზე დაწერილი ნაწარმოები.

ფილოსოფოსთა მთქნარების მომგვრელი სალონებიდან და ეგზოციტონალური ამოხვრებით შელამაზებული სიკვდილსიცოცხლის პრობლემა კი არ იდგა სცენაზე, არამედ მაყურებელი მონაწილე ხდებოდა ჩვენს თვალწინ გათამაშებული არნახული ტრაგედიისა... რეჟისორის ჩანაფიქრით, მაყურებელი თვალნათლივ ხედავდა ორ ადამიანს შორის, მესამე საშინელი ძალის მიერ აღმართულ კედელს, რომელსაც სათითაოდ აცლიდა აგურს სიყვარულისა და ნდობის განსაცვიფრებელი ძალა.

*რევაზ მიშველაძე*



*„ჯვარცმული ბედნიერება“ .  
მ. კაკალია, ნ. ბუკია*

ახლახან ზუგდიდის თეატრში პრემიერა შედგა. ახალგაზრდა რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა ჯემალ მონიავას პიესა - “ჯვარცმული ბედნიერება” დადგა.

სპექტაკლმა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. ქალაქში ერთბაშად გამოცოცხლდა კულტურული ცხოვრება.

გადახსენდა ის წლები როცა სრულიად ახალგაზრდა თემურ ჩხეიძე ჩავიდა ზუგდიდში და სწორედ ჯ. მონიავას პიესა დადგა მანაც. დ.ხვთისიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი გადაძახილია უახლეს ისტორიასთან და განწყვეტილი კავშირის აღდგენის ერთგვარი ცდაცაა.

*ვასილ კიკნაძე*



*სპექტაკლ  
„ამიკოს“  
პრემიერაზე*

## კრებულზე „ლილი იოსელიანი“

სავსებით უნდა დავეთანხმოთ ლილი იოსელიანის ჭეშმარიტ თანამოაზრეს და კოლეგას, ბატონ დიმიტრის, რომელიც საქმით ამტკიცებს თავისი მასწავლებლის პედაგოგიური პრინციპების ერთგულებას, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებს აზიარებს იოსელიანისეული სკოლის ნირშეუცვლელ ღირებულებებს, სიფაქიზეს, მშვენიერების აღქმის ბუნებრივ პროცესთან მიახლოებას.

კრებული სცილდება თავის ვიწრო დანიშნულებას – მოგვითხრობს ქართული თეატრის ერთ თავდადებულ მსახურზე, მშრალი თარიღებისა და კონკრეტული ფაქტების ურთიერთმეჯერებით. შემგენლის ხელთ არსებული მდიდარი მასალის შერჩევა უთუოდ ემყარებოდა პრინციპს ლილი იოსელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვანი მხარე სრულად, შემოქმედებითი პოზიციებიდან წარმოჩენილიყო.

*ვაჟა ძიგუა*



*კრებულის „ლილი იოსელიანი“  
პრეზენტაციის შემდეგ*

ხაზგასმით ავლნიშნავთ ერთგულების გამოვლენის იშვიათ მაგალითს ბატონ დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ განეული უდიდესი შრომით, როგორც სალამოს, ასევე კრებულის რეჟისორობით გამოხატულს, რომლის კომპოზიციური სტრუქტურა საყოველთაოდ მირებული ქვეთავების ნაცვლად დაყოფილი აღმოჩნდა სამ მოქმედებად – პროლოგითა და ეპილოგით, სადაც დაინტერესებული მკითხველი მაქსიმალური ინფორმაციის მიღებას შეძლებს მისთვის ყოველ საინტერესო საკითხზე ქალბატონ ლილი იოსელიანის ცხოვრებასთან დაკავშირებით... წიგნის რედაქტორია ბ-ნი ჯემალ ნინუა. იგი აიწყო და მხატვრულად დამუშავდა საინფორმაციო საგამომცემლო ცენტრ „რესპუბლიკაში“ და როგორც არაერთგზის ავლნიშნეთ მიქძღვნა გამოჩენილი რეჟისორის დაბადების 80 და სასცენო პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს.

*ნატა დევიძე*

*ლილი იოსელიანი  
ყოფილი ნამონაფრებისა  
და ახლობლების  
გარემოცვაში*



## თეატრი პერიკო

კაცის შფოთსა და ღამეულ მონოლოგს ერთადერთი ცოცხალი მონმე ჰყავს. ეს გალიაში გამომწყვდეული თუთიყუში მიხო გახლავთ. თუმცა, მას რა გაეგება, რასაც ეტყვიან, იმასვე გაიძახის მაგრამ, მიხოსაც დიდი ზარ-ზეიმით ამცნობს მამაკაცი თავის გამარჯვებას, ადამიანივით ესაუბრება, ეჩხუბება, ეალერსება, თუთიყუშისათვის კი სულ ერთია. ეს კაცს ჰგონია, რომ გაებუტა, ან შეურიგდა როგორ თუ სულ ერთია? რატომ გვიმტკიცებს მარტოსული ასე დაჟინებით ჩადენილ მკვლევლობას? რატომ სცლის ჭიქას ჭიქაზე? რატომ გაიძახის ერთსა და იმავეს? ერთხელაც თოკი ჩამოჰკიდა ჭერზე და ყულფი მოირგო, მაგრამ შეჩერდა, ვაითუ ძალა აღარა აქვს, შინაგანი ძალა. ო, რა სიამოვნებით ამცნობს პირველი მომხდარის შესახებ ლანდას! ყურმილს იღებს და საუბარს იწყებს, თუმცა ბერკეტი ხელით უჭირავს. უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვას რა სიამოვნებით მოჰკლავდა! აი, თურმე რატომ გაჰყვირის ასე. ეს დღეც ხომ სხვების



*ს. ჭიაურელი, ვ. მახარაძე,  
დ. ხვთისიაშვილი, დ. სხირტლაძე, მ. ნაცვლიშვილი*

მსგავსია, არაფრით გამორჩეულია. ეს ფარსი ხომ თავად მოიწყო, ეს ხომ წარკვეთილი ღამეული არსება, რომელსაც სანუგეშოდ რამდენიმე საათით თავის მოტყუებალად დარჩენია თუმცა, მთელი სამყაროც ხომ ტყუილია, თამაშია. დუტა სხირტლაძის პერსონაჟიც ამ სამყაროს შვილია. რეალობის ქაოსში გაზაბნეული კაცობრიობის წარმომადგენელია რეჟისორი და მსახიობი ოსტატურად აკეთებენ



**„ლაშე და თუთიყუში“. დ. სხირტლაძე**

მსუბუქე აქცენტებს იმ ნიუანსებზე, რომლითაც წარმოდგენის სიუჟეტი გარდატეხა ხდება და სიმართლე ირკვევა. ფინალური განწყობა თანდათან შემოეპარა სპექტაკლს და მწარე რეალობის წინაშე დააყენა მაყურებელი. ერთიცაა აღსანიშნავი სანახაობის ტექსტში ჩართულია ლექსები, რომელთა ავტორი თავად მსახიობი გახლავთ პოეტური ნიმუშები ორგანულად ერწყმის პიესისეულ ტექსტს. ისინი განწყობის შესაქმნელადაა გამოყენებული და დეკლამაციურად არ ჟღერს, ცალკე არ იკითხება ესეც დამდგმელთა ოსტატობის შედეგია.

**ზაზა სოფრომაძე**

რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი, ტაქტიანად ერევა ამ მონოლოგის ფაქტურაში, სანახაობას ამდიდრებს სადადგმო ხერხით და „თითების თეატრის“ გამომსახველი ფორმით ქმნის მოქიშპეთა პაექრობის, მათი ორთაბრძოლის ეპიზოდს. მერე ცოლის მიგდებულ ფეხსაცმელს იხუტებს კაცი და ცეკვავს... წარსულის ნოსტალგიასთან ერთად, პლასტიკის ენით გამოიხატა ოჯახური სიამტკბილობისა და ურთიერთგაგების დანატრებაც. თეთრი პერანგიც და კედლებზე გაკრული ცოლის ფოტოებიც გვიმტკიცებენ, ამ კაცს ნამდვილად რომ ჰქონდა წარსული და უფლებაც რომ აქვს, მომავალიც მოიპოვოს...

**ნათელა არველაძე**

**ბ. კიკვაძე, ს. ჭიაურელი, დ. ხვთისიაშვილი, კ მახარაძე**



## მოზარდ მაყურებელთა თეატრი

ვერ დავმაღლავ ჩემს სენტიმენტალურ დამოკიდებულებას დიმიტრი ხვთისიაშვილის სპექტაკლის მიმართ და მკითხველს ამთავითვე უნდა განვუცხადო, რომ დიდი ხანია თავისი სცენიური სიმართლით, პრობლემათა მასშტაბურობით და მაღალი ლიტერატურული ღირსებებით არცერთ თეატრალურ წარმოდგენას ასე არ აფულებუვებივარ.

სპექტაკლმა არა მარტო გაიმარჯვა, იგი ბოლო წლების ქართული თეატრის ჭეშმარიტ მიღწევად და აბსოლუტურად ყველა სახელოვანო კრიტერიუმით თეატრალურ შედეგად მიმაჩნია.

...დიმიტრი ხვთისიაშვილმა სწორად აულო ალლო მაყურებლის სპეციფიკას. იგი ჩვენს მოზარდებს მაინცდამაინც როგორც ბავშვებს, ენის მოჩლექით კი არ ელაპარაკება სცენიდან, არამედ სრულიად გაბედულად ამყარებს მათთან თანასწორის დამოკიდებულებას და ხვალინდელი საქართველოს სრულუფლებიანი

*„არ დამივიწყო“. ი. ხვთისიაშვილი, პ. ნოზაძე*

მესვეურები ამთავითვე შეჰყავს ქვეყნის დრამატული ბედის განსჯის წიაღში.

ვინც დიმიტრი ხვთისიაშვილის თეატრალურ მოღვაწეობას მეტნაკლებად იცნობს, დაასკვნის, რომ „არ დამივიწყო“ ამ რეჟისორის შემოქმედებაში საეტაპო ნაწარმოებია. ეს სპექტაკლი ოსტატობის მწვერვალად მიმაჩნია და გამორჩეულად იმის გამოც, რომ წარმოდგენაში ერთმანეთს გადაეჯახჭვა ქართული და მსოფლიო ფსიქო-სოციალური პრობლემები.

...გავგებდავ და 2015 წლის საუკეთესო სპექტაკლთა შორის „არ დამივიწყოს“ დავასახელებდი...

*სოსო სიგუა*



მონატრება და სიმარტოვე, ადამიანებთან კომუნიკაციის დეფიციტი, მომავლის იმედი და რწმენის შენარჩუნება - ეს ის თემებია, რომელსაც დიმიტრი ხვთისიაშვილი თავის სპექტაკლში მსახიობებთან ერთად თეატრის ენით, საკმაოდ მოკრძალებულად მაგრამ მთელი სიმძაფრით დისკუსიის საგნად ხდის. რეჟისორმა წინა პლანზე წამოიწია ადამიანური პრობლემები, რომელთაც ჩვენ ირგვლივ ხშირად ვაწყდებით და რომლებზეც ან თვალს ვხუჭავთ და არ ვიმჩნევთ, ანდა პრობლემად არ მივიჩნევთ. რეჟისორმა ნოველები ერთი

მწერლის მოთხრობილ ამბად გააერთიანა.

... სპექტაკლში ერთმანეთს კეთილი და ბოროტი კი არ უპირისპიდება, არამედ კეთილი, მაღალზნეობრივი ადამიანები და სიტუაციები, რომლიდანაც გამოსავალი ხშირ შემთხვევაში არ არსებობს. დიმიტრი ხვთისიაშვილი თითოეულ ნოველას, რომელიც ერთ მთლიან სპექტაკლად შეიკრა, ოპტიმიზმით ასრულებს. ეს ოპტიმიზმი კი რწმენაა და სიყვარულია, რომელიც ასე ძალიან სჭირდება თითოეულ ჩვენგანს. სცენის უკან (როგორც ფონი) მატარებლის ვაგონი დგას. სპექტაკლის დასრულებისას იხსნება ამ მეტაფორის მნიშვნელობა. თითოეული პერსონაჟის მატარებელმა უკვე ჩაიარა, რომელმაც თან წაიღო ის სიყვარული და ურთიერთობა, რომელიც სპექტაკლის გმირებს ასე უხვად გააჩნიათ. კარგი იქნება, თუ მომავალი თაობა ამ გმირების ცხოვრების კრედიოთი იხელმძღვანელებს.

**ლაშა ჩხარტიშვილი**

**დ. ხვთისიაშვილი,  
რ. მიშველაძე**





*დ. ხეთისიაშვილი რ. თავართქილაძესთან, ო. ბალათურიასთან და ბ. ხაფავასთან ერთად*



*„ირინეს ბედნიერება“ .  
ნ. მაჭავარიანი, დ. ხახიძე,  
რ. თავართქილაძე*



*„ირინეს ბედნიერება“ სიმონეთში*



*„ირინეს ბედნიერება“ .  
დ. ხახიძე, ვ. ჯანგიძე,  
თ. ჭანუყვაძე*

... ასე მგონია, რომ ნიკა ფაიქრიძეს თამაშში თამაში, ხოლო რეჟისორის მიერ სპექტაკლში სპექტაკლის არსებობა კიდევ ერთი საინტერესო დეტალია გმირის ხასიათის გამოსაკვეთად, ნიკა ფაიქრიძის სამსახიობო ოსტატობის გამოსავლენად და რაც მთავარია, სპექტაკლში დასმულ პრობლემებში ჩასაღრმავებლად. დიმიტრი ხვთისიაშვილის ამ მიზანსცენებით თუთიყუში ხდება არა მხოლოდ მსმენელი, აღსარების მიმღები, არამედ ნიკას დადგმული სპექტაკლის მონაწილეც და მაყურებელიც, უფრო სწორედ, მონაწილე მაყურებელი. და რაც მთავარია, მისთვის მაყურებლის არსებობა სწორედ მაშინ ხდება აუცილებლობა, როდესაც მოცემულობა საზოგადოებრივი აზრია და მისი დამოკიდებულება. მაგრამ ამ სცენებში არც ცინიზმია და არც აგრესია. რეჟისორი მსუბუქი სარკაზმით აგებს ლოგიკურ მოქმედებებს. არც ნიკას თამაშშია ზიზლი „ვირთხებად“ წოდებული ადამიანების მიმართ, რადგან ზიზლი და აგრესია მოკლავდა მის პერსონაჟს.

*მერი გურგენიძე*



**დ. ხვთისიაშვილი, ნ. ფაიქრიძე  
„ღამე და თუთიყუშის“ რეპეტიციაზე**





*„ღამე და თუთიყუში“. გასტროლები პოლონეთსა და რუსეთში*



...აქ თეატრია თავად ცხოვრება - არტისტულობით და არტისტიზმით, გამომგონებლობით და ფანტაზიორობით, ხრიკებით და ინტრიგებით, მაგრამ სიკეთით და სიყვარულით. ჰო, შურიტ და გაუტანლობით, ნიღბების მორგებით და უნიღბობით. უნმანურობითაც, უხამსი ხუმრობებითაც, თამამი ჟესტებითაც...

...ეს ჩვენი, ყოველი ჩვენგანის სამყაროა, სცენაზე მდგარის თუ დარბაზში მჯდომის. ეს იმ სამყაროს ნაწილია, სადაც თავისუფალია ადამიანი თავის ფანტაზიებში, ილუზიებში, სადაც ოცნებების შემქმნელნიც და დამლუპველნიც თავად არიან. სადაც, გამომგონებლობას, ფანტაზიებს არ უჩანს ბოლო, სადაც სიზმრებიც ხანდახან უხამსია - ფეხზე დამდგარი მედუზების სახით. სადაც კიბე შეიძლება იყოს საქანელაც, ნავიც, მთაც, კლდეც, თვითმფრინავიც და ათასი სხვა რამ, რასაც ადამიანის გონება გასწვდება. დიმიტრი ხვთისიაშვილის გონება კი მრავალი ფანტაზიითა და სახით ყოფილა სავსე. მაგრამ კიბე ამ ცხოვრების ელემენტიცაა თავისი მკაცრი და სასტიკი რეალობით - თითქოს გამოლვიძება, გახსენება თუ შეხსენება ცხოვრების რეალურობის თუ რეალური ცხოვრების არსებობის.

*მერი გურგენიძე*

*„აურზაური არაფრის გამო“*



*მ. ჩუხრუკიძე, თ. ქანუყვაძე, თ. ტყემალაძე*



*მ. ანთელავა, გ. შავგულიძე, დ. ხახიძე*

## სცენები სპექტაკლიდან „ბილოქსი ბლუზი“



დიმიტრი ხვთისიაშვილის დადგმული წარმოდგენა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. „ბილოქსი ბლუზში“ მოხდა ახალგაზრდა მსახიობების შესაძლებლობების სპექტრის სრული გამოვლენა. შედეგად სცენაზე საინტერესო როლები შეიქმნა. სპექტაკლში შექმნილი სახეები ერთი მხრივ რეჟისორისა და მსახიობების თანაშემოქმედების მაღალ ხარისხზე მეტყველებს და მეორე მხრივ, ღირსეულ თაობათა ცვლაზე 90-წლიანი ისტორიის მქონე თეატრში. დიმიტრი ხვთისიაშვილის გამომგონებლობით სავსე სპექტაკლი მაღალი გემოვნებით გამოირჩევა.

... დიმიტრი ხვთისიაშვილის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ თეატრის რეპერტუარი სრულად განახლდა და იქ მიმდინარე პროცესები ახალ ასპექტში წარიმართა. „ბილოქსი ბლუზი“ სწორედ ახალი სათეატრო ძიების დასტურია, როგორც კონცეპტუალური, ასევე გამომსახველობითი საშუალებების ძიების თვალსაზრისით.

**ლელა წიფურია**

Постановка пьесы американского драматурга и сценариста Нила Саймона «Билокси Блюз» давняя мечта режиссера Димитрия Хвти сиашвили. Сложный материал, к которому он несколько лет вёл труппу. Но испытание выдержано с честью: коллектив тюза имени Н. Думбадзе выпускает хоть на Бродвей - будут смотреться очень достойно. «Билокси блюз» - актёрское достижение, режиссёрская победа. Спектакль, с которого невозможно уйти равнодушным.

Медея Амирханова

*„ბილოქსი ბლუზი“*



*ბ. ნანიტაშვილი, ნ. ფაქრიძე*





„კოსმიური სტუმრები“.  
თ. ცქვიტინიძე, ს. შვედკოვი



„ბაში-აჩუკი“.  
ბ. მეგრელიშვილი, ნ. ნანიტაშვილი



„ხუთკუნჭულა“



„ფიფქია და შვიდი ჯუჯის“ შემდეგ



გ. ბერაძე, დ. ხვთისიაშვილი,  
გ. ბერიკაშვილი, პ. მხეიძე



*„ნაცარქექია“. გ. ჯიქურიძე, მ. ხორნაული, ნ. კვანტალიანი, კ. ჭოლაძე*



*თ. არჩვაძე „მე ზავრის წერილების“ მონაწილეებთან ერთად*

... რეჟისორი არ ცვლის ეპოქას. სპექტაკლშიც, პიესის მსგავსად, მოვლენები 1692 წლის სეილემში დატრიალებულ უცნაურ ამბებს ეხება. ა.მილერის „სეილემის პროცესში“ ადამიანის რამდენიმე მანკიერ თვისებაზეა აქცენტი დასმული, რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი კი სპექტაკლს შურისძიების ნყურვილზე დგამს. მთავარი შურისმაძიებელი სპექტაკლში აბიგეილია (თ.ჯავახაძე), თუმცა მაყურებელს მთელი აქცენტი ცოლ-ქმარზე - ელიზაბეთ პროქტორზე (თამარ მამულაშვილი) და ჯონ პროქტორზე (ვახტანგ ჩაჩანიძე) გადააქვს, ვინაიდან არტისტები დეტალებში ისე ხატავენ თავიანთ პერსონაჟებს, რომ მათ მიმართ ყურადღება არ ნელდება. რეჟისორსაც აბიგაილის მიერ ჩადენილი დანაშაულის დადგენა და გამოძიება უფრო აინტერესებს და შესაძლოა, ამიტომაც ექცევა ყურადღების ცენტრში პროქტორების ოჯახი.

რეჟისორი დამდგმელ ჯგუფთან ერთად მკაცრად იცავს პიესის ავთენტურობას და პირველწყაროდან აღმოცენებული ისტორიის რაკურსით გვიხატავს ჩვენს თანამედროვე-



*„სეილემის პროცესის“ რეპეტიციაზე*

ობაში დომინანტად ქცეული ადამიანის თვისებას - შურისძიებას, თუმცა სპექტაკლში განვითარებული პრობლემების კვალდაკვალ სხვა თემები და პრობლემებიც იკვეთება, მათ შორის ადამიანური სისუსტეები, რომელთან ბრძოლა არც ისე მარტივია. ფიზიკურად გადარჩენას ღირსების დაცვის პრობლემა უპირისპირდება.

... სპექტაკლი ჩვენი დროის აქტუალურ თემებს ისტორიული პრიზმიდან ეხმიანე-

ბა. კუდიანთა დევნაში სიმართლედ ირკვევა, მაგრამ მას უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ოჯახი ეწირება, მათი გადარჩენა კი დავიანებულია... „სეილემის პროცესი“ არ გავს მოზარდ მაცურებელთა თეატრისთვის აქამდე ნაცნობ სპექტაკლებს, მხატვრული ხარისხით და მისი მასშტაბურობით არც დიმიტრი ხვთი-

სიაშვილის მოზარდ მაცურებელთა თეატრში აქამდე დადგმულ სპექტაკლებს გავს, სადაც მხატვრული ხარისხი და დადგმის სტილისტიკა კლასიკური დრამატული თეატრის გამომსახველობით ხერხებს უტოლდება.

**ლაშა ჩხარტიშვილი**

*„სეილემის პროცესი“*





*„სეილემის პროცესი“. ვ. ჩაჩანიძე, თ. მამულაშვილი*



**„მე ვხედავ მზეს“**



**ბ. ხაფავა, ხ. მელქაძე, ნ. ფაიქრიძე, ნ. ყურაშვილი**

**„რწყილი და ჭიანჭველა“**



**მ. ხუხუნაიშვილი, ნ. ფაიქრიძე,  
გ. მარლანია, ნ. ნანიტაშვილი**



**ვ. ნოზაძე, ე. ქიტიაშვილი**

**„მგზნებარე  
შეყვარებული“**



**მ. დარასელია, დ. ხვთისიაშვილი, მ. ჩარგაზია**

## საერთაშორისო განტროლები



## სხვათა ღვაწლის უშურველი დამფასებელი

მოზარდთა თეატრში მორიგი საღამო გაიმართა. ახლობლებით, კოლეგებით, ახალგაზრდა მსახიობებით შეივსო დიდი დარბაზი. ამჯერად აღინიშნება რეჟისორ მედეა კუჭუხიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, მას 80 წელი შეუსრულდა. ავტორმა და წამყვანმა, ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, გულისხმიერება ამ მხრივაც გამოიჩინა



*დ. ხვთისიაშვილი, მ. კუჭუხიძე*

დომიტრი (დიმა) ხვთისიაშვილმა სითბოთი და პროფესიული სიტყვით, დამაჯერებელი ტონითა და ყოველგვარი ყალბი პათოსის გარეშე მიმართა იუბილარსა და დარბაზს. რეჟისორის მოღვაწეობის თაობაზე საუბრობდნენ მისი კოლეგები, მსახიობები, დრამატურგები, თეატრმცოდნეები, მისი ყოფილი სტუდენტები. ისინი მადლიერებას გამოხატავდნენ და იხსენებდნენ მის რეპეტიციებს, სპექტაკლებს, ლექციებს. თბილი საღამო ჩატარდა.

საღამოს შემდეგ ტაატი, ფეხით გავუყევით გზას შინისაკენ მანანა გამცემლიძესა და გივი ჩუგუაშვილთან ერთად. ვსაუბრობდით საღამოზე, თეატრალური ინსტიტუტის იმჟამინდელ პედაგოგებსა და სტუდენტებზე, ამ ატმოსფეროზეც, რომელიც განასხვავებდა ჩვენს ინსტიტუტს (დღევანდელ უნივერსიტეტს) სხვა უმაღლესი სასწავლებლებისაგან. რა თქმა უნდა, გავიხსენე მედეას ჯგუფიც, ნიჭიერი სტუდენტები, რომლებსაც რამდენი-

მე წელი ასწავლიდა მიხეილ თუმანიშვილი... მიხეილ თუმანიშვილის სტუდენტებს, სადაც არ უნდა მოღვაწეობდნენ ისინი, სწორედ პროფესიონალიზმი და საქმიანობის მიმართ თავდადება გამოარჩევთ. ჩემი თანამგზავრებიც მისი მოწაფეები არიან, ისინი მოწინებითა და სიხარულით აღნიშნავენ მასთან გატარებულ დაუვიწყარ წლებს, მისგან მიღებულ ცოდნასა და ჩანერგილ პროფესიონალიზმის კულტს. ახლა ხომ პროფესიონალიზმის დეფიციტს განიცდის საქართველო თითქმის ყოველ საქმიანობაში. ბუნებრივია გავისხენეთ სალამოც და მისი სულის ჩამდგმელი დიმა ხვთისიაშვილიც. ვისაუბრეთ მასზე, მის უნარზე, არ დაივიწყოს სხვათა დამსახურება და სათანადო პატივი მიაგოს თითოეულს, ვისაც მიუძღვის დამსახურება ეროვნული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. თავადაც მივუთითე რამდენიმე მისი თვისება, რომელთა არსებობა ახლა ასეთივე იშვიათობაა. მომიბრუნდა გივი და მეუბნება: „დანერე, რასაც ამბობ დანერე, ეს ხომ საინტერესო და იშ-



ვიათობაა რასაც დიმა წლების განმავლობაში აკეთებს! დიმა ხომ იმსახურებს აღინიშნოს მისი გულისხმიერება სხვათა მიმართ!... შეგულიანებული და გულწრფელად მაღლიერებით აღვსილი ვასრულებ დანაპირებს. ვწერ სტატიას დიმიტრი ხვთისიაშვილზე, მის მრავალსახეობრივ მოღვაწეობაზე.

იგი რეჟისორია, შესანიშნავი წიგნების ავტორშემდგენელია, სხვადასხვა სალამოების ავტორი და წამყვანია, ერთ დროს ტელევიზიის გახმოვანების უბანსაც ხელმძღვანელობდა და ჩინებულად უძღვებოდა ამ საქმიანობას, ახლა მოზარდთა თეატრს ხელმ-

ძღვანელობს... თეატრალურ საზოგადოებაში მას მიმართავენ ასევე თბილად – დიმა. არ დავარღვევ ამ ფორმას და თავადაც ასე დავწერ მასზე, იმიტომ რომ გამოვხატო პირადად ჩემი და არაერთი ჩემი თანამოაზრის გულთბილი დამოკიდებულება მის მიმართ. თავიდანვე ავღნიშნავ, რომ დიმამ მოზარდთა თეატრი აქცია დედაქალაქის (და არა მარტო მისი!) კულტურული ცხოვრების ერთგვარ ცენტრად. აქ არა მარტო თამაშობენ სპექტაკლებს, არამედ ფართოდ აღნიშნავენ სცენის მსახურთა დამსახურებას, მათ ღვანლსა და პიროვნულ თვისებებს. დიმა ამ წამოწყების მოთავეა, უშურველად გასცემს მადლსა და სიყვარულს ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე. მოღვაწეობის ასეთ ფორმას სწორედ ამ კედლებში აქვს უდიდესი მნიშვნელობა: აწინდელმა თაობამ უნდა იცოდეს წინაპართა, წინამდგომთა ღვანლის თაობაზე სინამდვილე, მას მაგალითი უნდა შეეუქმნათ ტრადიციის მნიშვნელობისა და მადლიერების გამოხატვის აუცილებლობისა. მოზარდთა წვრთნის ამგვარ

რი სახეობა, მით უფრო დღევანდელ საქართველოში, მეტისმეტად ღირებულია. მათ უნდა იცოდნენ „ვისი გორისანი“ არიან, რადგანაც საკუთარი ერის, წინაპრის, ამ შემთხვევაში ხელოვანთა, მოღვაწეობის დაფასება ღირსების საქმეცაა. ღირსეული თაობის აღზრდა ამ ფორმითაც შესაძლებელია. პატრიოტიზმის დეფიციტის პირობებში, ასეთი ქმედება,

მართლაც რომ, მეტისმეტად ღირებულია.

საგანგებოდ აღსანიშნავია თავად მისი პიროვნული თვისებათაგან, ჩემი აზრით, უმთავრესი დიმა კულტურული, კარგად აღზრდილი, ჩინებული მოქართულე და მადლიერების გამოხატველი პიროვნებაა. სადღეისოდ, როცა საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ასე „დაავადდა“ უმადურობის სენით, ასეთი ჟინით გამოხატავენ სიკეთის დაუფასებლობასა და სხვათა ჩანჩვლით ნეტარებენ, ყოველი ადამიანის ღირსების გამოვლინებად მესახება სხვათა მადლის დაფასების უნარი, მოთხოვნილება, შესაძლებლობა. განგებამ ამ ნიშნით უხვად დააჯილდოვა დიმა და ამიტომაც ასე უშურვე-

ლად და გულწრფელად ავლნიშნავ ამას.

ლილი იოსელიანი დიმას პედაგოგი იყო. უკანასკნელ დღემდე, როგორც შეეძლო ისე პატრონობდა მას, წიგნიც გამოსცა, როცა ქალბატონ ლილის 80 წელი შეუსრულდა. მასწავლებლისა და შეგირდის ურთიერთობის კლასიკური მაგალითია მათი დამოკიდებულება, ის სალამოც მას რომ მიუძღვნა მოზარდთა თეატრის სცენაზე. მაშინ გამოვთქვი და ახლაც ავლნიშნავ, რომ უერთგულო და არ დაივიწყო, ყოველთვის მოიხსენიო და დაუფასო მაღლი შენს გურუს – ესეც ნიჭია, სულის განსაკუთრებული მდგომარეობის შედეგია. რამდენი უმაღური შეგირდი გვახსოვს, რამდენი შენთვის გაღებული სიკეთეა მოუხსენიებელი! საუბედუროდ, იუდას აჩრდილი დღესაც დაძრწის ჩვენს შორის! როცა უმაღური მოწაფე ლაღატსაც სჩადის და ინტრიგის ქსელის გაბმასაც ეშურება – ყველაზე გულსატკეპნია მასწავლებლისათვის! ქალბატონი ლილისა და მისი მოწაფეების, მათ შორის დიმას ურთიერთობასა და ერთგულებას ავლნიშნავ, როგორც



*ლ. იოსელიანი, დ. ხვთისიაშვილი*

საგოგმანებელ მოვლენას. შესაძლოა იმიტომაც რომ თავადაც მოწაფე, და შემდგომ კი პედაგოგი ვიყავი, კარგად მესმის როგორი საკრალური და დასაფასებელია ამგვარი დამოკიდებულება, ურთიერთობის სინმინდე.

სხვადასხვა სალამოზე დიმა ხშირად მოიხსენიებს ადამიანებს, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით მის პროფესიის არჩევანსა, თუ დაოსტატებასა და გამოცდილების შე-

ქენაში. მათ შორის გამორჩეულად აღნიშნავს მისი მეგობრის ზურა ბერიკაშვილის ოჯახს, მის მშობლებს, ლეილას და გივის. ამ მადლიერების გამოხატულებადაც შეიძლება მივიჩნიოთ მის მიერ სამგლოვიარო პანაშვიდის გაძღოლა მარჯანიშვილის თეატრში გივი ბერიკაშვილის დაკრძალვის დღეს. მონივნება, სიყვარული, მანანასა და ზურას მიმართ. თანაგრძნობა იკითხებოდა მის ყოველ სიტყვაში. ის იქცეოდა დინჯად, პიროვნული კულტურით, ცოდნითა და უღრმესი პატივისცემით.



გ. ბერიკაშვილი, დ. ხვთისიაშვილი

ასეთივე სიღარბაისლით გაუძღვა სამგლოვიარო ნადიმსაც: არც ყალბი პათოსი, არც ჭარბი მგრძნობელობა, არც უხვი დითირამბები. ის მეტყველებდა მკაფიოდ, რიდით, დარბაისლური ქართულით, გულწრფელი გლოვით.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო მისი თაოსნობით ჩატარებული სალამოებიდან მსახიობ ლეილა ძიგრაშვილისადმი მიძღვნილი თავყრილობა. მოკრძალება და სათუთი დამოკიდებულება იგრძნობოდა დიმიტრი ხვთისიაშვილის სიტყვაში. ამ სცენაზე გამართულმა



ლ. კაპანაძე, დ. ხვთისიაშვილი

შემოქმედებითმა სალამომ და მსახიობის 90 წლისთავისადმი მიძღვნილმა იუბილემ, ჭეშმარიტი ზეიმი აღმოაცენა სცენაზე. ტაქტიკა და უღრმესი პატივისცემით მიჰყავდა სალამო დიმას და სიხარულით შეჰყურებდა ქალბატონ ლეილას, რომლის ყმანვილქალობამ გამოხატა მოზარდთა თეატრის მნიშვნელობაცა და როლიც, იყო ამ თეატრის პროტაგონისტი. შემდეგ კი, მეტად ნაყოფიერად ითანამშრომლა რუსთაველის თეატრის თანამოაზრეთა გუნდშიც. მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი როლი ქართული თეატრის განვითარებისათვის. ქალბატონი ლეილა ქართული მჭევრმეტყველების, კლასიკური ქართული ენისა და მეტყველების, მხატვრული სიტყვის დიდოსტატია. და რომ მას ამ ასაკშიც შესწევს უნარი მხატვრული კითხვის დიდებულებით შესძრას მაცურებელთა დარბაზი, შევიგრძენით იმ დღეებში. მადლიერების გრძნობა დამეუფლა ქალბატონი ლეილას ნიჭიერების გამო, ამასთანავე დიმას მიმართაც. მან გვაჩუქა ეს სიხარული.

დიმიტრი ხვთისიაშვილი ჭეშმარიტი მოღვაწეა, უშურველად და რუდუნებით, სიკეთითა



**დ. ხვთისიაშვილი, ლ. ძიგრაშვილი**

და სიყვარულით არის გაჯერებული ეს საღამოებიც და წიგნებიც: ლილი იოსელიანს, გივი ბერიკაშვილს, კახი კავსაძეს (და სულ მალე თენგიზ არჩვაძეს) რომ მიუძღვნა. მათში გამოკვეთილია ხელოვანთა ინდივიდუალობაც,

საშემსრულებლო ოსტატობაც, იმ გზის მნიშვნელობაც, რომელიც გაიარეს რეჟისორებმა და მსახიობებმა ქართული კულტურის აღმშენებლობისათვის.

დიმას სპექტაკლებზე არაერთგზის მისაუბრია. კრიტიკული სტატიაც გამომიქვეყნებია, რომელსაც არ ივინყებს იგი, ახლა მხოლოდ ერთ დადგმას გამოვყოფ. შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“ მისი ყველაზე საინტერესო და წარმატებულ დადგმად მიმაჩნია. ამჯერად ორ ასპექტზე შევაჩერებ ყურადღებას. პოსტდრამატულ თეატრს თავისი დადებით

თვისებასთან ერთად, უარყოფითი მომენტიც გააჩნია. მხედველობაში მაქვს სიტყვის, როგორც დრამატული თეატრის უპირველესი გამოსახვის საშუალების, მისი პრიორიტეტის უგულებელყოფა. მიუხედავად იმისა, რომ პოსტდრამატულმა თეატრმა კულტივირება სამართლიანად მოახდინა გამოსახვის ვიზუალურ ფორმაზე და თეატრს დაუბრუნა პირველქმნილი სახიერებისაკენ მიდრეკილება, სცენის ოსტატთა ძიებებით ყურადღება გამახვილდა გარეგნულ, ფიზიკურ, პლასტიკურ მონახაზზე და ამის კულტივირებამ სიტყვის დევალვაცია მოახდინა. ამ სპექტაკლმა აღადგინა მსახიობის გამოსახვის ორივე ასპექტი – სიტყვის ძალა და ვიზუალური, თავისუფალი გაქანება. ამ ნიშნით გამოვყოფდი რეჟისორის ძიებათა მნიშვნელობას. ამ მხრივ განონასწორება მიღწეულია, რაც ძალზე საგულისხმო მიღწევად მიმაჩნია.

რეჟისორულ ძიებათა მნიშვნელოვან მიგნებად მესახება მთავარი სათქმელი – ახალგაზ-

**„აურზაური არაფრის გამო“**



რდა თაობის ბედ-იღბალი პოლიტიზირებულ ქვეყანაში, თანამედროვე ჩვენი ყოფის გამოცხადება იქცა დადგმა. უსაქმობით გათანგული ყმანვილები არა მარტო აუტსაიდერებად შეიძლება იქცნენ, არამედ უმიზნო ცხოვრებამ ინტრიგებისათვის შეიძლება გაიმეტოს ჯან-ლონით სავსე ყმანვილკაცობა. სიყვარულიც კი შეიძლება თამაშად, ავყიანობის საგნად იქცეს. ამ ძალზე საგანგაშო სათქმელმა გააერთიანა დამდგმელი გუნდი. რეჟისორის დამსახურება ასე ლაღად, თავისუფლად, პლასტიკური გამომსახველობის სიჩაუქით რომ ქმნიან პერსონაჟებს ახალგაზრდა მსახიობები. ამ შემთხვევაში ვაჟებმა აიღეს ხელში ინიციატივა და შექმნეს არა მარტო სახიერი საქციელით მდიდარი სანახაობა, არამედ ამ პლასტიკურ გიჟმაჟ გამოსახვის ფორმებით, კიდევ უფრო გამოკვეთეს საქციელთა მოტივაცია და სიტყვის მნიშვნელობაც. ახალგაზრდა მსახიობების საშემსრულებლო ოსტატობა ამ ორი ასპექტის, ვერბალურ-ვიზუალური ფორმების დაუფლებით გამოისახა, რაც ძალზე საინტერესოდ



*„აურზაური არაფრის გამო“*

გამოიკვეთა მათი შესრულების თავისუფალი გაქანებით, სხეულის ფლობის უნარით, სიხალისით, ზომიერი სიშმაგითა და ჟინიანობით. იგრძნობა რომ ისინი თავს კარგად გრძნობენ სცენაზე ესმით თანამედროვე თეატრის თვისებათა გამოკვეთის აუცილებლობა, ფლობენ თეატრის სამეცხველო ენის – ცოცხალი სასცენო ქმედების არსს და ნიშანდობლიობას. ძალზე მოხარული ვარ, რომ თეატრის მომავალი საიმედო ხელშია, ახალგაზრდა მსახიობ-

თა გატაცება, ნიჭიერება, პროფესიის ფლობის უნარი ახალ აღმოჩენათა გარანტიად მესახება. ნიკა ფაიქრიძე (დონ პედრო), ვანო დუგლაძე (დონ ხუანი), ნიკა ნანიტაშვილი (ბენედიქტი), გიორგი ჯიქურიძე (კლავდიო), დავით ხახიძე (შინდი), – მთელი თაობის, მთელი ქართული თეატრის გამარჯვების საწინდარი მგონია. პროფესიული სიხარულის მონიჭებისთვის მადლიერებას გამოვხატავ თითოეულის და დამდგმელი გუნდის მიმართ.

დღეს დიმა ხვთისიაშვილი საიმედო ძალაა თეატრისთვის, მოზარდთა ღირსეული დიდაქტიკისათვისაც, სცენის ხელოვანთა ღვანლის ასე მნიშვნელოვნად დაფასებისათვისაც. ამიტომაც მადლიერებით აღვსილი, გულწრფელად გამოვხატავ სიხარულს და პატივისცემას მის მიმართ.

სხვათა ღვანლის დაფასების სურვილი და უნარი – ესეც დიდი ნიჭია, თავისებური კულტურაა.

*ნათელა არველაძე*

*„აურზაური არაფრის გამო“*



## სტუდენტებთან



## სსპაღასსპა

48



*რუსთავის თეატრი „ირინეს პედნიერება“*



*სოხუმის თეატრი „პრემიერა“*



*თ. ლორთქიფანიძე,  
დ. სვთისიაშვილი*



*განმრავანების სტუდიაში. ზ. იაქაშვილი,  
ნ. თარხან-მოურავი, გ. ჩუგუაშვილი,  
დ. სვთისიაშვილი, ს. ჩომახაშვილი*



*თ. ჩხეიძე, დ. სვთისიაშვილი*



*დ. სვთისიაშვილი,  
რ. ჩხიკვაძე*



*გ. ღორჩანაშვილი, დ. ხვთისიაშვილი*



*ბ. კიკვაძე, მ. ბერიკაშვილი, დ. დოიაშვილი,  
დ. ხვთისიაშვილი, ნ. რაჭველი*



*გ. ბერიკაშვილი,  
დ. ხვთისიაშვილი,  
კ. კაყსაძე*



*გ. მარლანია,  
დ. ხვთისიაშვილი*



*ტოჩინო-შინი,  
დ. ხვთისიაშვილი*



*ბ. კიკვაძე, დ. თავაძე, დ. ხვთისიაშვილი,  
ნ. კახიძე, ლ. წულაძე, ნ. სულხანიშვილი,  
ე. ნერგაძე, მ. კოზაკოვა*

დედა  
ნონა როგავა



50



მეუღლე ხათუნა კიკვაძე



*ზურაბ, ირაკლი და ლევან  
ხვთისიაშვილები*





ზ. ბერიკაშვილთან ერთად



გ. ბერაძე, მ. ხუტაშვილი,  
მ. გვარამაძე, დ. ხვთისიაშვილი

ი. შულღიაშვილთან  
ერთად



გ. ბერაძე, დ. ხვთისიაშვილი,  
ზ. ბერიკაშვილი

## დადგმები:

### ნოღარ დუმბაჰის სახელოზის მოზარდ მაჟურბეჟელთა თეატრი:

- 2013 წ. დ. კლდიაშვილი „ირინეს ბედნიერება“
- 2013 წ. გ. ნახუცრიშვილი „ნაცარქექია“
- 2013 წ. შ. პერო „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“
- 2014 წ. ნ. დუმბაძე, გ. ლორთქიფანიძე „მე ვხედავ მზეს“,
- 2014 წ. დ. ხურცილავა, დ. ხვთისიაშვილი „ხუთკუნჭულა“
- 2014 წ. ლ. ტიტოვა, ა. სტოროტორჟსკი „ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი“
- 2014 წ. Л. Титова, А. Стороторжский “Новогодняя ночь и космические прищельцы”
- 2015 წ. ძმები გრიმები „პრინცესა, ბაყაყი, ჰენზელი და გრეტელი“
- 2015 წ. Братья Гримм “Принцесса, лягушонок, Гензель и Гретель”
- 2015 წ. ა. ნერეთელი „ბაში-აჩუკი“
- 2015 წ. რ. მიშველაძე „არ დამივინყო“
- 2015 წ. დ. ხვთისიაშვილი „სახალწლო შოუ“
- 2016 წ. თ. ბაძალუა „ღამე და თუთიყუში“
- 2016 წ. უ. შექსპირი „აურზაური არაფრის გამო“
- 2016 წ. დ. ხვთისიაშვილი „შოუ ზღაპართა ქვეყანაში“
- 2016 წ. ნ. საიმონი „მგზნებარე შეყვარებული“
- 2017 წ. დ. ხვთისიაშვილი „სახალწლო ზღაპარი“
- 2017 წ. ნ. საიმონი „ბილოქსი ბლუზი“
- 2017 წ. ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილები“
- 2017 წ. ა. მილერი „სეილემის პროცესი“
- 2018 წ. ხალხური „რწყილი და ჭიანჭველა“ (გია მარღანიასთან ერთად)

**კოტა მარჯანიშვილის სახელობის თეატრი:**

- 1995 წ. ჯ. მონიავა „ინოლა“ (მუსიკალური წარმოდგენა)
- 1996 წ. დ. კლდიაშვილი „ქამუშაძის გაჭირვება“
- 2008 წ. თ. ბართაია „პეიზაჟს აკლია სითბო“
- 2010 წ. ა. კასონა „ეუხენა ბაღბოა“ (ლევან წულაძესთან ერთად)
- 2011 წ. ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილები“ (თემურ ჩხეიძესთან ერთად)
- 2012 წ. ჰ. მირალამოვი „მე დავბრუნდები“
- 2012 წ. გ. ბათიაშვილი „კოტე მარჯანიშვილი“ (ლევან წულაძესთან ერთად)

**ზუგდიდის ვალვა დადიანის სახელობის თეატრი:**

- 1997 წ. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ (ლიტერატურული კომპოზიცია)
- 1997 წ. რ. თაბუკაშვილი „რას იტყვის ხალხი“
- 1997 წ. ჯ. მონიავა „ჯვარცმული ბედნიერება“
- 1997 წ. ლ. თაბუკაშვილი „მაგრამ უფლება არ მოუცია“
- 1997 წ. მ. სალუქვაძე „სიმარტოვე“
- 1998 წ. კ. ბუაჩიძე „ეზოში ავი ძაღლია“
- 1999 წ. ო. ბალათურია „ამიკო“
- 1999 წ. ი. სოლომანაშვილი „იყო ერთი სოფელი“

**ვერიკო ანჯაზარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი:**

- 1999 წ. კ. მახარაძე „აისბერგი თიკუნით – სტალინი“
- 2001 წ. თ. ბაძალუა „ლამე და თუთიყუში“

**თეატრალური სარდაფი:**

2002 წ. რ. ბელეცკი „ახალგაზრდები“

2003 წ. ლ. როსება „პრემიერა“

**მერაბ კოსტავას სახელობის თეატრი**

2001 წ. ჯ. იოსელიანი „სტუმარი“

**რუსთავის გ. ლორთქიფანიძის სახელობის თეატრი**

2008 წ. კ. ბუაჩიძე „ეზოში ავი ძაღლია“

2012 წ. დ. კლდიაშვილი „ირინეს ბედნიერება“

**სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის თეატრი**

2011 წ. ლ. როსება „პრემიერა“

**თბილისის ა. ახამეტელის სახელობის თეატრი:**

2009 წ. შ. შამანაძე „ღია შუშაბანდი“

2010 წ. ლ. ბულაძე „პანთეონი“

2010 წ. დ. ტურაშვილი „შავი კეტები“

**სტუდია ენკი-გენკი:**

1996 წ. გ. ქიქინაძე „ბებოს კონცერტი“

**მონწაველე-ახალგაზრდობის სასახლე:**

1995 წ. ა. სულაკაური „ჯადოსნური კაბა“

**ზღაპრის თეატრი:**

1998 წ. ა. ლინდგრენი „პეპი და კარლსონი“

**დ. ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი:**

1998 წ. ლ. როსება „სიყვარულის მზე“

2001 წ. კ. ფორტიუნო „მართვის მონუმობის მისაღებად“

2002 წ. „მიძიმე განსაცდელი“

2003 წ. ჟ.ბ. მოლიერი „სასაცილო პრესიოზები“

2003 წ. „პრემიერა“

2007 წ. შ. შამანაძე „ღია შუშაბანდი“

2008 წ. თ. ქილაძე „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“

2009 წ. თ. ბართაია „კაფე ძველ გამზირზე“

2010 წ. შ. დადიანი „გუშინდელნი“

2010 წ. ე.დ. ფილიპო „მილიონერი ნეაპოლი“